სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

11 მარტი 2025

N 21/1934

შპს „მშენ-2014“-ის დირექტორს
ბატონ შალვა ფხიკიძეს

ქ. თბილისი, ზაჰესი
ელ. ფოსტა: pkhikidzeshalva@gmail.com

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ბატონო შალვა,

გაცნობებთ, რომ თქვენი 2025 წლის 20 თებერვლის წერილის (სააგენტოს რეგისტრაციის #1632, 20.02.2025) საფუძველზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ შეთანხმებულ იქნა შპს „მშენ-2014“-ის ბეტონისა და სამშენებლო კონსტრუქციების საწარმოსთვის (ქ. თბილისი, ზაჰესი) შემუშავებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/1934-21-2-202503111158

შპს „მშენ - 2014“

სამშენებლო მასალების წარმოება - ბეტონისა და სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება

ქ. თბილისი, ზაჰესის მიმდებარე ტერიტორია

(ს/კ 01.72.12.104.013)

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში

შემსრულებელი: ფ/პ ქეთევან ნადირაშვილი

ელ.ფოსტა: a.c.garemo@gmail.com; ტელ: 577992959

თბილისი 2025

სარჩევი

ანოტაცია 3

ძირითად ტერმინთა განმარტებანი 4

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ 5

2. საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება 6

3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები 7

4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რაოდენობათა ანგარიში 7

5. მიღებული შედეგების ანალიზი 14

გამოყენებული ლიტერატურა 15

დანართი 1. საინვენტარიზაციო ფორმები 16

საინვენტარიზაციო ფორმა N1 მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება 17

საინვენტარიზაციო ფორმა N2 მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება 18

საინვენტარიზაციო ფორმა №3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დახასიათება 19

საინვენტარიზაციო ფორმა №4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზება, ტ/წელი 20

გენ-გეგმა 21

საჯარო რეესტრიდან ამონაწერი 22

<u>ანოტაცია</u>

ტექნიკური ანგარიში შედგენილია საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნათა შესაბამისად.

საწარმო შპს „მშენ-2014“-ის კუთვნილი საწარმოს(ბეტონისა და სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში მოიცავს მოქმედი წესებით გათვალისწინებულ ინფორმაციას ამ საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ.

ტექნიკური ანგარიში შესრულებულია საქართველოს კანონის „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ და საქ. მთავრობის დადგენილება N42 „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად, რომელთა თანახმადაც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარულ ობიექტში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის, რომელთაც აქვთ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები და რომელთა საქმიანობაც არ ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას. დაბინძურების სტაციონარულ ობიექტში ინვენტარიზაციას ექვემდებარება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თითოეული წყარო და თითოეული მავნე ნივთიერება. დაბინძურების სტაციონარულ ობიექტში ინვენტარიზაცია ტარდება და მიღებული მასალების შედეგები აისახება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშში (შემდგომში - ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში).

საწარმოს ფუნქციონირებას თან ახლავს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება 8 წყაროს მიერ.

დადგენილია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ყველა წყარო, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქევული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები.

ძირითად ტერმინთა განმარტებანი

ა) „ატმოსფერული ჰაერი“ – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

ბ) „მავნე ნივთიერება“ – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

გ) „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება“ – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში ნებისმიერი ნივთიერების გაფრქვევა, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

დ) „მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყარო“ – ობიექტი, რომლიდანაც ხდება მავნე ნივთიერებათა გამოყოფა (ტექნოლოგიური დანადგარი, აპარატი და სხვა);

ე) „მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყარო“ – ობიექტი, რომლიდანაც ხდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);

ვ) „დაბინძურების წყარო“ – მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ან/და გაფრქვევის წყარო;

ზ) „მავნე ნივთიერებათა ორგანიზებული გაფრქვევა“ – მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა სპეციალურად გაკეთებული მოწყობილობებიდან (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);

თ) „მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევა“ – მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა არამიმართული ნაკადის სახით (დანადგარების ჰერმეტიულობის დარღვევის, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილებში გამწოვი დანადგარების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის და საერთოდ მათი არარსებობის დროს და ა.შ.).

ი) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა“ – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავნე ზემოქმედებას;

კ) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით;

ლ) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით.

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

ძირითადი მონაცემები შპს „მშენ 2014“-ის საქმიანობის შესახებ წარმოდგენილია ცხრილ 1.1-ში.

ცხრილი 1.1

ობიექტის დასახელება	შპს „მშენ 2014“
ობიექტის მისამართი:	
ფაქტობრივი	ქ. თბილისი, ზაჰესის მიმდებარე ტერიტორია ს/კ 01.72.12.104.013
იურდიული	ბორჯომი, სტალინის ქ., №40
საიდენტიფაკციო კოდი	426110790
GPS კოორდინატები (UTM WGS 1984 კოორდინატთა სისტემა)	X – 479280; Y – 4630830;
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	შალვა ფხიკიძე
ტელეფონი:	593222444
ელ-ფოსტა:	pkhikidzeshalva@gmail.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	180 მ
ეკონომიკური საქმიანობის სახე	სამშენებლო მასალების წარმოება (ბეტონისა და სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება)
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ბეტონი - 480000ტ/200000მ³ წელიწადში; რკინის კონსტრუქციები - 100 ტ/წელ;
საპროექტო წარამადობა	ბეტონი - 480000ტ/200000მ³ წელიწადში; რკინის კონსტრუქციები - 100 ტ/წელ;
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	ინერტული მასალა: ქვიშა - 150000ტ ღორღი - 200000ტ ცემენტი - 80000ტ; რკინა - 100 ტ; ელექტროდები - 500 კგ;
საწვავის ხარჯი	არ მოიხმარს საწვავს
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	250
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	8 სთ

2. საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება

შპს „მშენ - 2014“ ფლობს ბეტონისა და სამშენებლო კონსტრუქციების საწარმოს ქ. თბილისში, ზაჰესის დასახლების მიმდებარე ტარიტორიაზე. წარმოება განთავსებულია არასასოფლო სამეურნო დანიშნულების ტერიტორიაზე ს/კ 01.72.12.104.013; ფართობი - 7406 მ^2, რომელიც საწარმოს საკუთრებაა.

ბეტონისა და სამშენებლო(რკინის) კონსტრუქციების წარმოების მიზნით მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ინერტული მასალის მიმღები ბუნკერები; ბეტონის შემრევი, ლენტური ტრანსპორტიორები, ნედლეულის საწყობები და ა.შ.

საწარმოში ინერტული მასალა(ქვიშა-ღორღი) შემოდის სატვირთო ავტომანქანებით და საწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე, ღია საწყობებში ფრაქციების შესაბამისად. საწარმოში ცემენტი შემოდის ცემენტმზიდი მანქანით და პნევმოგაყვანილობით იტვირთება ცემენტის სილოსებში, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს 240ტ-ს. სილოსები აღჭურვილია მტვერდამჭერი სისტემებით კერძოდ, სახელოიანი ფილტრებით, რომელთა მტვერდამჭერის ეფექტურობა საპასპორტო მონაცემებით შეადგენს 99,9%-ს. ინერტული მასალა(ქვიშა, ღორღი) შესაბამისი ტექნიკის მეშვეობით(ექსკავატორი) იყრება ბუნკერებში(4 ერთეული). ბუნკერში ჩაყრილი ინერტული მასალა ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება ვაგონეტს(„სკიფი“), რომლის მეშვეობით ინერტული მასალა ავტომატური მართვის რეჟიმით მიემართება შემრევი დანადგარისაკენ და ავტომატურადვე იცლება შემრევში. ავტომატურადვე ხდება შემრევ დანადგარისათვის სილოსიდან ცემენტის და წყლის მიწოდება.

1 კუბური მეტრი ბეტონის მისაღებად(რომლის წონა შედგენს 2,2-2,3ტონას)საჭიროა 1750-1800კგ ინერტულ მასალა (ქვიშა 0,8 ტ და ღორღი 1ტ) ემატება 350-400 კგ ცემენტი, 100-150 ლ წყალი. შემრევი დანადგარები ელექტრო-ენერგიის მეშვეობით მუშაობს ავტომატურ რეჟიმში და იმართება დისტანციურად. შემრევში ხდება ზემოთ მითითებული მასალებისაგან ბეტონის ნარევის მომზადება. ბეტონის მორევისათვის შემრევს ესაჭიროება 3-4 წუთი. შემრევიდან მიღებული ბეტონის გაცემა ხდება ბეტონ მზიდებით. ბეტონის დანადგარის წარმადობა შეადგენს 100 მ^3-ს საათში. შესაბამისად საათში 100 მ^3 ბეტონის მისაღებად საჭიროა 75ტ ქვიშა, 100 ტონა ღორღი და 35-40ტ ცემენტი.

საწარმოში რკინის კონსტრუქციების საწარმოებლად მოწყობილია რკინის დამუშავების უბანი, სადაც ძირითადად მიმდინარეობს რკინის დაჭრა, დაღუნვა და შედუღება. საამქროში ლითონის დასამუშავებლად გამოიყენებენ:

- რკინის ცივად დაჭრის დანადგარს(გილიოტინას);
- ფოლადის რკალური შედუღების (ხელის შესადუღებელი აპარატი) 1 ერთეული;

საწარმოში რკინის ნაკეთობების საწარმოებლად საჭირო ნედლეული შემოვა ავტოტრანსპორტით და დასაწყობდება საამქროს ტერიტორიაზე. მათი გამოყენება განხორციელდება მოთხოვნის შესაბამისად. რეალიზაციამდე, საამქროშივე განთავსდება უკვე დამზადებული ნაკეთობები.

საწარმო მუშაობს დღე-ღამეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით და 250 დღეს წელიწადში. საწარმოს მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 200000მ^3 ბეტონს წელიწადში.

საწარმო ენერგორესურსის სახით გამოიყენებს ელექტროენერგიას.

3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა მტვერი და ცემენტის მტვერი. ცხრილი 3.1-ში წარმოდგენილია მტვრის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის სიდიდეები.

ცხრილი 3.1

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ^3		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2902	მტვერი (არაორგანული)	0,5	0,15	3
2908	მტვერი (ცემენტის)	0,3	0,3	3
304	აზოტის ოქსიდი	0,4	0,06	3

საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი წყაროებია:

- ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლის ადგილი (გ-1);
- ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) საწყობი (გ-2);
- სილოსებში ცემენტის ჩატვირთვა (გ-3);
- ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) ბუნკერებში ჩაყრა (გ-4);
- ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გ-5);
- ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) ვაგონეტში ჩაყრა (გ-6);
- ბეტონის შემრევი დანადგარი (გ-7);
- რკინის დამუშავების უბანი (გ-8)

4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რაოდენობათა ანგარიში

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში განხორციელდა დარგობრივი მეთოდიკების საფუძველზე საანგარიშო მეთოდების გამოყენებით(4, 5). ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის.

- **მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის(ქვიშა-ღორღის) ჩამოცლისას (გაფრქვევის წყარო გ-1)**

ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$M_{მტვ} = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times G \times B \times 10^6/3600$ გ/წმ,

სადაც,

K_1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია;

K_2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_4 - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითი უნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

G - გადასამუშავებელი მასალის რაოდენობაა, ტ/სთ;

ზემოთ აღნიშნული კოეფიციენტების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის წარმოდგენილია ცხრილ 4.1-ში.

ცხრილი 4.1

პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	პარამეტრის მნიშვნელობა	
		ქვიშა (0-5)	ღორღი (5-10)
მასალაში მტვრის ფრაქციის წილი	K_1	0.05	0,04
მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილი	K_2	0,03	0,02
მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_3	1.2	1,2
გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_4	1	1
მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_5	0.01	0,01
გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი	K_7	0.8	0,5

გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოფიციენტი	B	0,5	0,5
გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა, ტ/სთ	G	75	100

ზემოთ აღნიშნულ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

ქვიშისათვის:

$M_{მტვ}$= 0,05x0,03 x 1,2x1x0.01x0.8 x 0,5 x 75 x10^6/3600 = 0,15გ/წმ

G $_{მტვ}$ = 0,15 x2000x3600/10^6 =1,08 ტ/წელი

ღორღისათვის

$M_{მტვ}$= 0,04x0,02x1.2x1x0.01x0,5x0,5x100x 10^6/3600 = 0,07გ/წმ

G $_{მტვ}$ = 0,07 x2000x3600/10^6 =0,504ტ/წელი

სულ, გ-1 გაფრქვევის წყაროდან გაფრქვეული მტვრის ოდენობა იქნება:

$M_{მტვ}$ = 0,22გ/წმ

G $_{მტვ}$ =1,584ტ/წელი

- **მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის(ქვიშა-ღორღის) საწყობიდან (გაფრქვევის წყარო გ-2)**

ნედლეულის(ქვიშა-ხრეში) საწყობიდან გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

M $_{მტვ}$ = K_3 x K_5 x K_6 x K_7 x q x f გ/წმ

სადაც

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებლი კოეფიციენტია;

K_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია;

K_6 - დასაწყობებული მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია, მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

q - მტვრის წატაცების ინტენსიობაა 1 $მ^2$ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/$მ^2$ წმ;

f - ამტვერების ზედაპირია, $მ^2$.

აღნიშნული კოეფიციენტების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის წარმოდგენილია ცხრილ 4.2 -ში.

ცხრილი 4.2

პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	პარამეტრის მნიშვნელობა	
		ქვიშა	ღორღი

მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_3	1,2	1,2
მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_5	0,01	0,01
დასაწყობებული მასალის ზედაპირის პროფილის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_6	1,45	1,45
გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოფიციენტი	K_7	0,7	0,6
მტვრის წატაცების ინტენსივობა 1 $მ^2$ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/$მ^2$ წმ	q	0,002	0,002
ამტვერების ზედაპირია	f	1000	1500

ზემოთ აღნიშნულ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

ქვიშისათვის:

$M_{მტ3}$ = 1,2 x 0.01 x 1.45 x 0.7 x 0.002 x 1000 = 0,02436გ/წმ

$G_{მტ3}$ = 0,02436 x 8760 x 3600/10^6=0,7682 ტ/წელი

ღორღისათვის;

$M_{მტ3}$ = 1,2 x 0.01 x 1.45 x 0.6 x 0.002 x 1500 = 0,03132გ/წმ

$G_{მტ3}$ = 0,03132 x 8760 x 3600/10^6=0.9877 ტ/წელი

სულ გ-2 გაიფრქვევა:

$M_{მტ3}$ = 0,02784გ/წმ

$G_{მტ3}$ = 1,7559ტ/წელი

- **მტვრის გაფრქვევის ანგარიში სილოსებში ცემენტის ჩატვირთვისას (გაფრქვევის წყარო გ-3)**

ცემენტი საწარმოში შემოიზიდება ცემენტმზიდით და თავსდება პნევმოგაყვანილობით ცემენტის სილოსებში, რომელიც აღჭურვილია სახელოიანი ფილტრებით, 99,9%-იანი მტვერდაჭერით. საწარმოს გააჩნია 2 სილოსი, თვითოეული 120ტ ტევადობით. სილოსებში წლიურად შესაძლოა გათავსდეს მაქსიმუმ 80000 ტ ცემენტი, რადგან ყოველი 1 ტონა ცემენტის გადატვირთვისას სილოსში გამოიყოფა 0,8კგ მტვერი, ამიტომ ცემენტის მტვრის წლიური გაფრქვევა გ-3 გაფრქვევის წყაროდან ტოლი იქნება:

$G_{\text{ცემენტის მტვ3}}$ = 80000 x 0,8 /10^3 = 64 ტ/წელი

ხოლო 99,9%-ით გაწმენდის შემდეგ:

$G_{\text{ცემენტის მტვ}} = 64 \times 0{,}001 = 0{,}064$ ტ/წელი

ხოლო მტვრის წამური გაფრქვევის ინტენსიობა ტოლი იქნება:

$M_{\text{ცემენტის მტვ}} = 0{,}064 \times 10^6/2000 \times 3600 = 0.009$ გ/წმ

- **მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის (ქვიშა-ღორღი) ბუნკერში ჩაყრისას (გაფრქვევის წყარო გ-4)**

დანადგარს გააჩნია 4 ბუნკერი. ბუნკერში მასალების ჩაყრის ოპერაცია, მიმიდინარეობს მექანიკურად თვითდამტვირთველის მეშვეობით. ნედლეულის (ქვიშა-ღორღი) შემრევის ბუნკერში ჩაყრისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება გ-1 გაფრქვევის წყაროს. ანალოგიურად და იქნება:

ქვიშისათვის:

$M_{\text{მტვ}} = 0{,}05 \times 0{,}03 \times 1{,}2 \times 1 \times 0.01 \times 0.8 \times 0{,}5 \times 75 \times 10^6/3600 = 0{,}15$ გ/წმ

$G_{\text{მტვ}} = 0{,}15 \times 2000 \times 3600/10^6 = 1{,}08$ ტ/წელი

ღორღისათვის

$M_{\text{მტვ}} = 0{,}04 \times 0{,}02 \times 1.2 \times 1 \times 0.01 \times 0{,}5 \times 0{,}5 \times 100 \times 10^6/3600 = 0{,}07$ გ/წმ

$G_{\text{მტვ}} = 0{,}07 \times 2000 \times 3600/10^6 = 0{,}504$ ტ/წელი

სულ, გ-4 გაფრქვევის წყაროდან გაფრქვეული მტვრის ოდენობა იქნება:

$M_{\text{მტვ}} = 0{,}22$ გ/წმ

$G_{\text{მტვ}} = 1{,}584$ ტ/წელი

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას (გაფრქვევის წყარო გ-5)

ინერტული მასალების (ქვიშა, ღორღი) ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = W_{\text{შეგ}} \times K_{\text{დაქ}} \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ},$$

სადაც,

$W_{\text{შეგ}}$ - ჰაერის შეგერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევა და ტოლია 3×10^{-5} კგ/ მ^2 წმ

$K_{\text{დაქ}}$ - ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტია და ტოლია 0,1მ-ის;

B - ლენტის სიგანეა და ტოლია 1 მ-ის;

L - ლენტის ჯამური სიგრძეა და ტოლია 13 მ-ის;

ამ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{\text{მტვ}} = 3 \times 10^{-5} \times 0.1 \times 1 \times 13 \times 10^3 = 0.039$ გ/წმ

$G_{\text{მტვ}} = 0{,}039 \times 2000 \times 3600/10^6 = 0{,}2808$ ტ/წელი

- **მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) ვაგონეტში ჩაყრისას (გაფრქვევის წყარო გ-6)**

ლენტური ტრანსპორტიორიდან ინერტული მასალები იყრება ვაგონეტში. ნედლეულის (ქვიშა-ღორღი) ვაგონეტში ჩაყრისას გაფრქვეული მტვრის რაოდენობა იანგარიშება გ-1 გაფრქვევის წყაროს. ანალოგიურად და იქნება:

ქვიშისათვის:

$M_{მტვ}$= 0,05x0,03 x 1,2x1x0.01x0.8 x 0,5 x 75 x10^6/3600 = 0,15გ/წმ

G $_{მტვ}$ = 0,15 x2000x3600/10^6 =1,08 ტ/წელი

ღორღისათვის

$M_{მტვ}$= 0,04x0,02x1.2x1x0.01x0,5x0,5x100x 10^6/3600 = 0,07გ/წმ

G $_{მტვ}$ = 0,07 x2000x3600/10^6 =0,504ტ/წელი

სულ, გ-6 გაფრქვევის წყაროდან გაფრქვეული მტვრის ოდენობა იქნება:

$M_{მტვ}$ = 0,22გ/წმ

G $_{მტვ}$ =1,584ტ/წელი

- **მტვრის გაფრქვევის ანგარიში შემრევი დანადგარიდან(გაფრქვევის წყარო გ-7)**

ა) მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალების (ქვიშა, ღორღი, ცემენტი) შემრევში ჩაყრისას

ინერტული მასალების და ცემენტის ბეტონშემრევში ჩაყრისას მტვრის გაფრქვევის რაოდენობები ანალოგიურია გ-1 წყაროსი, იმ განსხვავებით, რომ გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვით უნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი (K_4) იქნება 0,1. ანგარიშისათვის საჭირო საწყისი პარამეტრები მოცემულია ცხრილ 4.3-ში

ცხრილი 4.3

პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	პარამეტრის მნიშვნელობა		
		ქვიშა	ღორღი	ცემენტი
მასალაში მტვრის ფრაქციის წილი	K_1	0,05	0,04	0,04
მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილი	K_2	0,03	0,02	0,03
მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის კოეფიციენტი	K_3	1,2	1,2	1,0
გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვით უნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_4	0,1	0,1	0,01

მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიცენტი	K_5	0,01	0,01	1,0
გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი	K_7	0,8	0,5	1,0
გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი	B	0,5	0,5	0,5
გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა ტ/სთ	G	75	100	40

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მტვრის რაოდენობა ტოლი იქნება:

ქვიშისათვის:

$M_{მტვ}$= 0,05x0,03 x 1,2x1x0.01x0.8 x 0,5 x 75 x10^6/3600 = 0,15გ/წმ

G $_{მტვ}$ = 0,15 x2000x3600/10^6 =1,08 ტ/წელი

ღორღისათვის

$M_{მტვ}$= 0,04x0,02x1.2x1x0.01x0,5x0,5x100x 10^6/3600 = 0,07გ/წმ

G $_{მტვ}$ = 0,07 x2000x3600/10^6 =0,504ტ/წელი

ცემენტისათვის:

$M_{ცემენტის\ მტვ}$=0,04 x 0,03 x 1,0 x 0,01 x 1,0 x 1,0 x0,5 x 40 x 10^6/3600 = 0,067 გ/წმ

$G_{ცემენტის\ მტვ}$ = 0,067 x 2000 x3600/10^6 = 0,4824 ტ/წელი

სულ, გ-7 გაფრქვევის წყაროდან გაფრქვეული მტვრის ოდენობა იქნება:

$M_{მტვ}$ = 0,22გ/წმ

G $_{მტვ}$ =1,584ტ/წელი

$M_{ცემენტის\ მტვ}$=0,067 გ/წმ

$G_{ცემენტის\ მტვ}$ = 0,4824ტ/წელი

<u>გაფრქვევების ანგარიში რკინის დამუშავების უბნიდან - გაფრქვევის წყარო გ-8</u>

<u>გაფრქვევების ანგარიში ლითონის(არმატურის) შედუღების უბნიდან</u>

საწარმოში რკინის დასამუშავებლად გამოყენებული იქნება რკინის ცივად დაჭრის დანადგარი და ფოლადის რკალური შედუღების (ხელის შესადუღებელი) აპარატი 1 ერთეული;

- <u>გაფრქვევები ფოლადის რკალური შედუღებისას</u> - ფოლადის რკალური შედუღების (ხელის შესადუღებელი) აპარატების ფუნქციონირებისას საწარმო გამოიყენებს УОНИ (13/45,13/55,13/65,13/80,13/85) 500კგ ელექტროდებს.

ლიტერატურული წყარო[4], დანართი 72 თანახმად, ფოლადის რკალური შედუღებისას (ხელის შესადუღებელი აპარატით) ცალობითი ელექტროდებით УОНИ (13/45,13/55,13/65,13/80,13/85) ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტები, გ /კგ დახარჯული მასალაზე შეადგენს 2,1გ აზოტის ოქსიდს. აქედან გამომდინარე ფოლადის რკალური შედუღებისას ატმოსფეროში გაფრქვევები ტოლი იქნება:

$G_{\text{აზოტის ოქსიდები, NOx}} = 2,1 * 500/10^6 = 0,00105$ტ/წ

ხოლო წამური ინტენსივობა:

$M_{\text{აზოტის ოქსიდები, Nox}} = 0,00063 * 10^6/2000 * 3600 = 0,00015$გ/წმ

5. მიღებული შედეგების ანალიზი

1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში შედგენილია მოქმედ გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისასად.
2. საწარმოში ჩატარებული ინვენტარიზაციის თანახმად, სულ გამოვლენილი იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 8 წყარო.
3. საწარმოდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის განმსაზღვრელ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს მტვერი, ცემენტის მტვერი და აზოტის ოქსიდი .

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 1996.
2. საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, 1999წ.
3. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N42 დადგენილება „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.
4. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილება №435 დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
5. სხვადასხვა წარმოებების მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ანგარიშის მეთოდიკების კრებული, სანკტ-პეტერბურგი, 1986.
6. (Методика расчета выделений (выбросов) загрязняющих веществ в атмосферу при механической обработке металлов (на основе удельных показателей), Фирма «Интеграл», 1997. Состав пыли металлической аналогичен составу обрабатываемых материалов.

დანართი 1. საინვენტარიზაციო ფორმები

საინვენტარიზაციო ფორმა N1 მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტ/წელი
	ნომერი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	ნომერი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	მუშაობის დრო დღე-ღამეში, სთ	მუშაობის დრო წელი-წადში, სთ	დასახელება	კოდი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბეტონის წარმოება	გ-1	არაორგანი ზებული	1	500	ნედლეულის ჩამოცლისა ადგილი	1	8	2000	მტვერი	2902	1,584
	გ-2	არაორგანი ზებული	1	501	ნედლეულის საწყობი	1	24	8760	მტვერი	2902	1,7559
	გ-3	მილი	2	1; 2;	ცემენტის სილოსი	1	8	2000	ცემენტის მტვერი	2908	64
	გ-4	არაორგანი ზებული	1	502, 503,504, 505	ინერტული მასალის მიმღები ბუნკერი	3	8	2000	მტვერი	2902	1,584
	გ-5	არაორგანი ზებული	1	505	ლენტური ტრანსპორტიორი	1	8	2000	მტვერი	2902	0,2808
	გ-6	არაორგანი ზებული	1	506	ინერტული მასალის ვაგონეტში ჩაცლის ადგილი	1	8	2000	მტვერი	2902	1,584
	გ-7	არაორგანი ზებული	1	507	ბეტონის შემრევი	1	8	2000	მტვერი ცემენტის მტვერი	2902 2908	1,584 0,4824
	გ-8	არაორგანი ზებული	1	508	რკინის დამუშავების უბანი	1	8	2000	აზოტის ოქსიდი	0304	0,00105

საინვენტარიზაციო ფორმა N2 მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს ნომერი	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები		აირჰაერმტვერნარევის პარამეტრები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსვლის ადგილას			მავნე ნივთიერების კოდი	გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა		მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს კოორდინატები ობიექტის კოორდინატთა სისტემაში, მ					
			სიჩქარე, მ/წმ.	მოცულობა, მ³/წმ.	ტემპერატურა, t⁰C		გ/წმ.	ტ/წ.	წერტილოვანი წყაროსთვის		ხაზოვანი წყაროს ერთი ბოლ. მეორე ბოლ.			
	სიმაღლე	დიამეტრი ან კვეთის ზომა							X	y	X_1	Y_1	X_2	Y_2
გ-1	1,5	-	-	-	20	2902	0,22	1,584	-5	3				
გ-2	3	-	-	-	20	2902	0,02784	1,7559	-5	-3				
გ-3	15	0,5	14,5	2,84	20	2902	0,009	0,064	0	-1				
გ-4	5	-	-	-	20	2902	0,096	1,584	-2	1				
გ-5	2	-	-	-	20	2902	0,039	0,2808	-2	1				
გ-6	3	-	-	-	20	2902	0,22	1,584	1	1				
გ-7	3	-	-	-	20	2902	0,22 0,067	1,584 0,4824	0	2				
გ-8	3	-	-	-	20	2902 2908	0,00015	0,00105	0	0				

საინვენტარიზაციო ფორმა №3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დახასიათება

მავნე ნივთიერების			აირმტვერდამჭერი მოწყობილობების		მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, გ/მ3		აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გაწმენდის ხარისხი, %	
გამოყოფის წყაროს ნომერი	გაფრქვევის წყაროს ნომერი	კოდი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	გაწმენდამდე	გაწმენდის შემდეგ	საპროექტო	ფაქტობრივი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	გ-3	2908	სახელოიანი ფილტრები	1	3,13	0,0032	99,9	99,9

საინვენტარიზაციო ფორმა №4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზება, ტ/წელი

მავნე ნივთიერების		გამოყოფის წყაროებიდან წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა (სვ.4+სვ.6)	მათ შორის			გასაწმენდად შემოსულიდან დაჭერილია		სულ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა (სვ.3-სვ.7)	მავნე ნივთიერებათა დაჭერის % გამოყოფილთან შედარებით (სვ.7/სვ.3)X100
კოდი	დასახელება		გაფრქვეულია გაწმენდის გარეშე		სულ მოხვდა გამწმენდ მოწყობილობაში	სულ	მათ შორის უტილიზებულია		
			სულ	ორგანიზებული გამოყოფის წყაროდან					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
2902	ინერტული მასალის მტვერი	8,3727	5,2163					5,2163	
2908	ცემენტის მტვერი	64,4824	0,4824	-	64	63,936	63,936	0,5464	85
0304	აზოტის ოქსიდი	0,00015	0,00015	0,00015				0,00015	

გენგეგმა

საკადასტრო კოდი: 01.72.12.104.013
ფართობი: 7406 კვ.მ.



- ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლის ადგილი (გ-1);
- ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) საწყობი (გ-2);
- სილოსებში ცემენტის ჩატვირთვა (გ-3);
- ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) ბუნკერებში ჩაყრა (გ-4);
- ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გ-5);
- ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) ვაგონეტში ჩაყრა (გ-6);
- ბეტონის შემრევი დანადგარი (გ-7);
- რკინის დამუშავების უბანი (გ-8)

WGS 84 / UTM zone 38N

მ. 1:1000

0 30 60 მეტრი

საჯარო რეესტრიდან ამონაწერი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **N 01.72.12.104.013**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892024946197 - 20/12/2024 15:22:40

მომზადების თარიღი
15/01/2025 17:39:21

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი			
01	**72**	**12**	**104/013**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 7406.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.72.12.104.012; 72.12.01.331;**

მისამართი: ქალაქი თბილისი , გაჰესი ; ქალაქი თბილისი , გაჰესი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892024946197 , თარიღი 20/12/2024 15:22:40
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/01/2025

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:13/01/2025 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:06/03/2024 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:06/03/2024 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:13/01/2025 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "მშენ-2014" , ID ნომერი:426110790

მესაკუთრე:
შპს "მშენ-2014"

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882024301722 თარიღი 05/03/2024 11:45:39	**იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"**204854595; საგანი:დაზუსტებული ფართობი: 7177.00 კვ.მ.; **იპოთეკის ხელშეკრულება N 1231233109636 დამოწმების თარიღი 05/03/2024 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/03/2024	
2) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892024597973 თარიღი 15/10/2024 17:55:45	**იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"**204854595; საგანი:დაზუსტებული ფართობი: 7177.00 კვ.მ; **იპოთეკის ხელშეკრულება N1231233161205, დამოწმების თარიღი15/10/2024, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 16/10/2024	
3) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892024834362 თარიღი 26/11/2024 17:48:50	**იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"**204854595; საგანი:დაზუსტებული ფართობი: 7177.00 კვ.მ. ; **იპოთეკის ხელშეკრულება N1231233171484, დამოწმების თარიღი26/11/2024, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 26/11/2024	

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეგი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგაღასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან ღაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალღარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- ღოკუმენტის ნამღვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ღაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში ღაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან ღაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge